# შემრევ-ჩამოსასხმელი აპარატი

*დიმიტრი ფანჯაკიძე, გიორგი არძენაძე, გიორგი ომანაძე, მარიამ გელაშვილი*

ელ-ფოსტა: dimitri.panjakidze596@eab.tsu.edu.ge
ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ჩვენი პროექტის მიზანი იყო რამდენიმე რეჟიმიანი შემრევ-ჩამოსასხმელი აპარატის შექმნა, რომელიც სითხეების ზუსტ დოზირებას ახდენს და მომხმარებლის მიერ შერჩეული პარამეტრების შესაბამისად ასხამს შესაბამისი პარამეტრებისა და კონცენტრაციის სითხეს. მოწყობილობა კომპაქტურია, ბიუჯეტური და გამოსადეგია როგორც ინდუსტრიულად (მაგ. ფარმაცევტიკაში, კვების წარმოებაში), ისე სასწავლო მიზნებისთვის. პროექტის პროცესში განვივითარეთ პრობლემების აღმოჩენა/გადაჭრის, ინოვაციური მიდგომების უნარები, რაც მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის მყარ საფუძვლად იქცა.